ვამტკიცებ:

სკოლის დირექტორი:

შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლის“ განვითარების

სტრატეგიული 7 წლიანი გეგმა

2021-2027 წლები

თბილისი

შესავალი

შპს ,,ახალი ქართულ-ევროპული სკოლის” 2021-2027 წლების სტარტეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი 6 წლის განმავლობაში. წინამდებარე სტრატეგიული დოკუმენტის საშუალებით სკოლა უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით სკოლის ხედვას, მისიას და ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის დასაწყისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის სტრუქტრული ერთეულების მონაწილეობით. ჯგუფმა მოამზადა საჭიროებების შეფასება (swot ანალიზი) და ამ პროცესის დასრულების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდა საჭიროებათა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სკოლის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრასა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

ამ პროცესში, მხედველობაში იქნა მიღებული სკოლის 2015-2021 წლების სტრატეგიული ციკლის შეფასების დოკუმენტი, ძირითადი მიგნებები, რეკომენდაციები, ასევე, ჩატარებული კვლევები სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამშრომელთა მონაწილეობით გადაიხედა არსებული ხედვა, მისია და ღირებულებები. სამუშაო პროცესი ასევე მოიცავდა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების დასაგეგმად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტების მიმოხილვას.

სკოლის სტარტეგიული გეგმისა და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედი გეგმის პროექტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის მიზნით, ჩატარდა ონლაინ შეხვედრები პედაგოგებთან, მოსწავლეთა მშობლებთან. ჩატარებული შეხვედრების დასრულების შემდეგ სკოლის სტარტეგიულ დოკუმენტში გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.

ინფორმაცია სკოლის შესახებ

შპს „ახალი ქართულ - ევროპული სკოლა“ მდებარეობს თბილისში. იგი ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამის საქმიანობას.

სკოლა წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლაში მიმდინარეობს 12 წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება ქართულ ენაზე. სკოლა არის სამსაფეხურიანი: დაწყებითი (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები).

სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, ზოგადი განათლების შესახებ " საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და სკოლის დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლა:

- ქმნის პირობებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;
- ხელს უწყობს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთაა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებას

მომავლის ხედვა

სკოლის მომავლის ხედვაა, რომ იგი იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე. წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

მისია

შპს „ახალი ქართულ - ევროპული სკოლის“ მისიაა აღზარდოს ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, ინტელექტუალური, თავისუფლად მოაზროვნე, მაღალი კულტურის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნება. მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული წამახალისებელი აქტივობებით, უახლესი სასწავლო მეთოდების გამოყენებით, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების სინთეზით მოსწავლეებმა შეიძინონ ცოდნა, გამოიმუშაონ კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნებისა და მუდმივად ცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარი, რათა მათ დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში.

ღირებულებები

სკოლა ემსახურება ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნების აღზრდას, რომელიც ინტეგრირებული იქნება ევროპულ და საერთაშორისო სივრცეში.

სკოლა ხელს უწყობს:

ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;

ბ) სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;

დ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;

ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას;

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;

ზ) გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის;

თ) კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;

ი) სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას.

რესურსები

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, საჭიროებებს. სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული რესურსების ეფექტურ გამოყენებას, მიწოდებას, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. დირექცია ეხმარება კათედრებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს განავითარონ სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები, რომელიც შეესაბამება ერთიან სასკოლო მიზნებს.

სტრატეგიული ჩარჩო

სკოლის შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), დეკლარირებული მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში სკოლას დაგეგმილი აქვს 2021-2027 წლებში იმუშაოს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით:

1. სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება;
2. სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;
3. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.
4. უცხოური ენების სწავლების, ზუსტი (ტექნიკური) და საბუნებისმეტყველო მიმართულებების გაძლიერება;

თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანსა და ამოცანას.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიმართულება I - სკოლის მომსახურების გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1

სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს ლიცეუმის მისიიდან და შეესაბამება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა ხდება განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე და განახლდება არსებული გამოწვევების საპასუხოდ.

ამოცანა 1.1.:
უზრუნველყოფილია დიფერენცირებული მიდგომა და ისგ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;

ამოცანა 1.2:
შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ესგ-სთან, კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად;

ამოცანა 1.3:
მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით;

ამოცანა 1.4:
სსგ-ს შემუშავებისა და შეფასების პროცესში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა.

მოსალოდნელი შედეგები

სსგ შედგენილი იქნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით; მისი განახლება მოხდება განვლილი წლის ანალიზისა დაა შეფასების საფუძველზე, არსებული გამოწვევების საპასუხოდ და შესაბამისობაში იქნება ლიცეუმის მისიასთან.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 2

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.

ამოცანა 2.1.:
ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების გარემოს მოწყობა;

ამოცანა 2.2:
აღჭურვილია და განახლებულია ლაბორატორია/ლაბორატორიები

ამოცანა 2.3:
ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო გარემო;

ამოცანა 2.4:
განახლებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკის, სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით;

მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 3

პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.1.:
უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო დახმარების მექანიზმები და განახლებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის

ამოცანა 3.2:
სკოლის ყველა მოსწავლეზე, სკოლაში მომუშავე პერსონალსა და მშობლებზე მორგებული შემუშავებულია კრიზისის მართვის პოლიტიკა; უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვის მექანიზმები;

ამოცანა 3.3:
სკოლა უზრუნველყოფილია უსაფრთხოების კამერებით

ამოცანა 3.4:
სკოლა უზრუნველყოფილია უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებით COVID19-ის პანდემიის მოთხოვნების შესაბამისად;

მოსალოდნელი შედეგები

პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა იქნება უზრუნველყოფილი.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიმართულება II

სკოლაში ხარისხის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიზანი 1

სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.

ამოცანა 1.1.: უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე, ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და სხვა თანამედროვე სასწავლო რესურსების გამოყენება

ამოცანა 1.2: ხელშეწყობილია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარერის დაგეგმვა;

ამოცანა 1.3: სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისა და მოსწავლეთა მიღწევების წახალისების ხელშეწყობა, მათთვის თვითრეალიზების საშუალების მიცემა.

ამოცანა 1.4: მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

მოსალოდნელი შედეგები

გაუმჯობესდება სწავლა-სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა შედეგები.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 2

სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება

ამოცანა 2.1.:
შემუშავებულია ხარისხის სისტემის განვითარების დოკუმენტი

ამოცანა 2.2:
საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მიერ სკოლის საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა (შეხვედრები, ტრენინგები, ურთიერთდასწრებები და სხვ.);

მოსალოდნელი შედეგები

- სკოლაში დასაქმებული ადამიანები განვითარდებიან პროფესიულად;
- მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება აისახება მოსწავლეთა შედეგებზე.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 3

სასწავლო პროცესის მართვა

ამოცანა 3.1.:
სასკოლო სასწავლო გეგმაში მიმდინარე ცვლილებების და მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინება მოსწავლეთა მიღწევებზე;

ამოცანა 3.2:
სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასების უზრუნველყოფა მათი შედეგების გაუმჯობესების მიზნით;

ამოცანა 3.3:
სკოლის დირექცია და მასწავლებლები გაიაზრებენ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხედვას და პასუხისმგებლობას.

ამოცანა 3.4:
სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას;

მოსალოდნელი შედეგები

სასწავლო პროცესის მართვაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუმჯობესდება მოსწავლეთა შედეგები ;

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიმართულება III

სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

სტრატეგიული მიზანი 1

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/ განვითარება.

ამოცანა 1.1.:
სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო და სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორების შემუშავება, მისი მონიტორინგის და განახლების მექანიზმების შემუშავება-დანერგვა;

ამოცანა 1.2:
შიდა და გარე შეფასების გამოყენება სასკოლო გარემოს, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის შედეგების მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მოსალოდნელი შედეგები

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოვლწლიურად შემუშავებული იქნება სამოქმედო გეგმა, საჭიროების მიხედვით მოხდება მისი განვითარება

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 2

ადამიანური რესურსების მართვა

ამოცანა 2.1.:
თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავება და წახალისება;

ამოცანა 2.2:
დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს, თანამშრომლობითი კულტურის ზრდის ხელშეწყობა, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენაზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.

ამოცანა 2.3:
საგანმანათებლო დაწესებულებებთან გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით თანამშრომლობა.

მოსალოდნელი შედეგები

ადამიანური რესურსების მართვა მოხდება წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული წესების მიხედვით.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 3

ანგარიშვალდებულების წარმოება

ამოცანა 3.1.:
კანონმდებლობით დადგენილი წესით მაკონტროლებელ ორგანოებთან ანგარიშვალდებულების განხორციელება (თვითშფასება);

ამოცანა 3.2:
ანგარიშვალდებულების სისტემის გამჭვირვალობის, ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მოსალოდნელი შედეგები

ანგარიშვალდებულება მოხდება ხარისხიანად წინასწარ დადგენილ ვადებში, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის სისტემის დანერგვას.

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი 4

მატერიალური რესურსების მართვა.

ამოცანა 4.1.:
სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.

ამოცანა 4.2:
დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება.

მოსალოდნელი შედეგები

მატერიალური რესურსების მართვა მოხდება დადგენილი და შეთანხმებული წესის მიხედვით ეფექტურად და ეფექტიანად.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სტრატეგიული მიმართულება IV - **უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება, ზუსტი ტექნიკური მიმართულების საგნების გაძლიერება**

სტრატეგიული მიზანი 1

უცხოური ენების გაძლიერებული სწავლების /ტექნიკური მიმართულების საგნების გაძლიერება

საგანმანთლებლო პროგრამასთან მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა.

ამოცანა 1.1.:	ამოცანა 1.2:	ამოცანა 1.3:
ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, დაწესებულების მისიაში ასახული საერთო პრინციპებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით უცხო ენების და ტექნიკური საგნების გაძლიერებული სასწავლო პროგრამები ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე. გაითვალისწინებს მიზნის მიღწევის გზებს	სასწავლო პროგრამები ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემები გადაჭრის უნარჩვევების გამომშავებას, მისცემს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.	უცხო ენების სასწავლო ტექნოლოგიებით აღჭურვა და შესაბამისი გარემოს მოწყობა. ტექნიკური საგნების სასწავლო კაბინეტის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები

- სასწავლო პროგრამების შესაბამისობაში იქნება მოყვანილი მიზნები და სწავლის შედეგები;
- მოსწავლეებს განუვითარდებათ კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები, ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა;

სტრატეგიული განვითარების გეგმა

SWOT ანალიზი

(1) განსაზღვრავს იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;
(2) განსაზღვრავს იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;
(3) ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან რისი უკეთესად გამოყენება მომავალში შესაძლებელია;
(4) აღმოაჩენს იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილება დროულად უნდა მოხდეს

S - ძლიერი მხარე • არსებობის მრავალწლიანი ისტორია • საკუთარი შენობა • ინფრასტრუქტურა • დისციპლინა • გამორჩეული სასკოლო კულტურა • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი • მდებარეობა • ადამინაური რესურსი • სსსმ მოსწავლეებისთვის სათანადო სასწავლო გარემო • პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა • ხარისხის სისტემა • მონიტორინგის სისტემა	**W - სუსტი მხარე** • საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი • მშობელთა ჩართულობა • დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარება • ტრანსპორტირების სერვისი • მართვა კრიზისულ სიტუაციაში
O – შესაძლებლობები • ცნობადობის გაძლიერება • ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიები/პროგრამები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა • სასკოლო კლუბების მრავალფეროვნება	**T - საფრთხეები** • პანდემიის რისკი • კანონმდებლობაში ცვლილებები • დემოგრაფია • არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობა • გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ. სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ჩატარდება ახალი სტრატეგიული გეგმის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამაბელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხდება წლიური ანგარიშით.

სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული შედეგების მონიტორინგი

	შედეგები	პასუხისმგებელი პირი	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
1	სსგ შედგენილი იქნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით; მისი განახლება მოხდება განვლილი წლის ანალიზისა დაა შეფასების საფუძველზე, არსებული გამოწვევების საპასუხოდ და შესაბამისობაში იქნება სკოლის მისიასთან.	ხარისხის მართვის მენეჯერი, სკოლის დირექტორი							
2	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.	სკოლის დირექტორი							
3	მომუშავე პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა იქნება უზრუნველყოფილი	სკოლის დირექტორი							
4	გაუმჯობესდება სწავლა-სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა სწავლის შედეგები.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,							
5.	სკოლაში დასაქმებული ადამიანები განვითარდებიან პროფესიულად;	სკოლის დირექტორი							

6	სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოველწლიურად შემუშავებული იქნება სამოქმედოგ გეგმა, საჭიროების მიხედვით მოხდება მისი განვითარება	სკოლის დირექტორი დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,							
7	ადამიანური რესურსების მართვა მოხდება წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული წესების მიხედვით.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,							
8	ანგარიშვალდებულება მოხდება ხარისხიანად წინასწარ დადგენილ ვადებში, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის სისტემის დანერგვას.	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,							
9	მატერიალური რესურსების მართვა მოხდება დადგენილი და შეთანხმებული წესის მიხედვით ეფექტურად და ეფექტიანად.	დირექტორი							
10	უცხო ენების გაძლიერებული სწავლების/ ტექნიკური მიმართულების საგნების გაძლიერება	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი,							